ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3793404

ნომერი: AR1571213

თარიღი : 18.01.2018

გაცემის თარიღი : 26.01.2018

გაცნობის თარიღი : 29.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტი / ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა / ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი , მე-13 კმ. ნაკვეთი 13/090;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სამსონ ფხაკაძე პ/ნ 01024006897
- ქ. თბილისი, ბროლოსანის ქ. #31, ბინა #12

ორგანიზაცია:
- ვენჯორჯია კოდი: 404885335

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტი/ დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. ნაკვ. 13/090-ში, სს "ვენჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ.: N 882017968233 13/10/2017 14:55:30 წ. საკადასტრო კოდი N 01.72.14.013.609, ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტი/ დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. ნაკვ. 13/090-ში, სს "ვენჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.